განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

[უსდ-ის ლოგო]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით მახვილაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

დიანა მჭედლიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

თინათინ დვალიშვილი, ვებსტერი, საქართველო

გიორგი მერაბიშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (სტუდენტი), საქართველო

თბილისი
2025

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	206046045
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ზერი გაბრიელ სალოსის გამზირი №31 (ყოფილი ჩოლოყაშვილის 53), 0144, თბილისი, საქართველო
ვებ-გვერდი	www.thu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	03/09/2024 MES 1 24 0001071579
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	02.12.2025

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	8
ბაკალავრიატი	4
მაგისტრატურა	-
ერთსაფეხურიანი	3
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	5
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	646	370	1323
ბაკალავრიატი	200	207	836
მაგისტრატურა			11
ერთსაფეხურიანი	430	146	459
დოქტორანტურა			
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3^{48} პუნქტში

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	16	17	17
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	488	265	770
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			2

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	167
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	98
- პროფესორი	31
- ასოცირებული პროფესორი	50
- ასისტენტ პროფესორი	9
- ასისტენტი	8
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	52
- აფილირებული პროფესორი	17
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	22
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**5**
- აფილირებული ასისტენტი	8
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	34
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	35

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	5 405.99კვ.მეტრი, მათ შორის: მიწის ფართობი - 3646.00 კვ.მეტრი; შენობანაგებობები - 1759.99 კვ.მეტრი
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1740.1 კვ.მეტრი
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-----

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 14-15 აპრილს, ექსპერტთა ჯგუფის სრული მონაწილეობით. ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად ჩაატარა ინტერვიუები დაწესებულების წარმომადგენლებთან და დაათვალიერა საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გათვალისწინებული მატერიალური ქონება, მათ შორის პრაქტიკის ობიექტები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, საკუთარი კომპეტენციით და მაღალი კვალიფიკაციით მონაწილეობდნენ პროცესში, ვიზიტის სრული პერიოდის განმავლობაში.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მხრიდან განხორციელდა ინტერვიუები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მათ შორის ვიცე-რექტორთან, დეკანებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, საფინანსო, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. აგრეთვე, მოხდა დღის წესრიგით გათვალისწინებული პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტმა შეუფერხებლად ჩაიარა. პროცესს ეფექტურად უჭერდნენ მხარს უნივერსიტეტის წარმომადგენლები და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორივე თანამშრომელი.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: 14-15/04/2025

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
1.2. სტრატეგიული განვითარება რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოამზადოს სამოქმედო გეგმების შესრულების ყოველწლიური ანგარიშები და დეტალურად წარმოადგინოს რეაგირების შედეგად განხორციელებული აქტივობები.	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.** რეკომენდაციის შესრულების მიზნებისათვის, უნივერსიტეტმა ანგარიშით და თანდართული დოკუმენტაციით წარმოადგინა ინფორმაცია სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ. თუმცა პროცესების პერმანენტულობის და მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სტრატეგიული

	განვითარების გეგმის და სტრატეგიულ სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პასუხიმგებელი პირ(ებ)ი.
1.2. სტრატეგიული განვითარება რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობა, იზრუნოს სამეცნიერო პოტენციალის ზრდაზე, რაც მკაფიოდ გამოიკვეთება სტრატეგიული განვითარების გეგმაში და შემდგომ აისახება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებში.	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.** რეკომენდაციის შესრულების მიზნებისათვის, უნივერსიტეტმა ანგარიშით და თანდართული დოკუმენტაციით წარმოადგინა ინფორმაცია აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის შესახებ, აგრეთვე ხედვები და აქტივობები სამეცნიერო პოტენციალის ზრდასთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც წინარე რეკომენდაციის ნაწილში, აქაც აქტულურ გამოწვევად რჩება სტრატეგიული განვითარების გეგმის და სტრატეგიულ სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პასუხიმგებელი პირ(ებ)ის არარსებობა, რაც პრობლემას წარმოშობს პროცესების პერმანენტულობის და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა იმისათვის, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებზე პასუხისმგებელი ერთეულები, მეტად ეფექტურად ახორციელებდნენ შესაბამის ფუნქციებს, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მეტი გამჭვირვალობა. მიზანშეწონილია დაწესებულებამ მუდმივად განაახლოს საშტატო განრიგი და დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა იმგვარად, რომ იგი ასახავდეს დაწესებულების მმართველ ორგანოებში სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელებულ ფაქტობრივ ცვლილებებს. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის ავთენტურობა.	**რეკომენდაცია შესრულებული არ არის.** დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა საშტატო განრიგი, რომელშიც მითითებული იყო რექტორის ორი მოადგილე, თუმცა ვიზიტის დღეს ვებგვერდზე ატვირთულ დაწესებულების სტრუქტურაში მითითებული იყო ერთი მოადგილე. დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს აღნიშნეს, რომ დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ შეიცვლა სტრუქტურა და ეხლა არის ერთი მოადგილე. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა განახლებული საშტატო განრიგი და დაწესებულების სტრუქტურა, სადაც მითითებულია ერთი ვიცე-რექტორი. ვებგვერდზე 8 მაისს ამოღებული მონაცემების საფუძველზე, დაწესებულების სტრუქტურაში ისევ მითითებულია 2 ვიცე-რექტორი, რაც არ შეესაბამება დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს მოწოდებულ საშტატო განრიგს.
2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებისას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმაციის მუდმივად და დროულად განახლება შესაბამის საინფორმაციო მართვის სისტემების ბაზაში.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა რეესტრის წარმოების წესი და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი წერილი და მასზე მიღებული პასუხი. აღნიშნული წერილების მიხედვით გამოიკვეთა, რომ 01.01.2023 წლიდან 02.10.2025 წლამდე პერიოდში, შ.პ.ს. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან სააგენტოში

	შესულია 127 შეტყობინება ბინადრობის ნებართვის საფუძვლის შეწყვეტის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს განაცხადეს, რომ ისინი დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, ახორციელებენ მონაცემების განახლებას საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენებით უნდა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების სათანადო შეფასება, ამასთანავე, უნდა უზრუნველყოს ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ის რაოდენობები, რაც გათვალისწინებულია დაწესებულების სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით. დაწესებულებამ სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში უნდა ასახოს ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის სტუდენტთა და პერსონალის დაგეგმვის ასპექტები.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმი სრულდება დაწესებულების ყველა საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში. რეკომენდაციის მეორე ნაწილი ეხება სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის სტუდენტთა და პერსონალის დაგეგმვის ასპექტები. რეკომენდაციის შესრულების საპასუხოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი, რომელშიც თჰუ აკადემიური საბჭოს 2024 წ ლის 24 ივნისის N08 და 2024 წლის 09 სექტემბრის N10 გადაწყვეტილებებით შევიდა ცვლილება და აისახა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტთა და პერსონალის დაგეგმვის ასპექტები.
3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება მიზანშეწონილია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეკომენდაციის შესაბამისად, სტომატოლოგიის პროგრამაზე გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტი. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულება თანამშრომლობს სხვადასხვა კლინიკასთან. ბოლო პერიოდში დამატებით ორ კლინიკასთან გაფორმდა მემორანდუმი. დასრულდა სარემონტო სამუშაოები კლინიკური პრაქტიკის საუნივერსიტეტო სივრცეში, სადაც დამატებით დამონტაჟდა და გაიზარდა ვიდეო-კამერების რაოდენობა კონტროლისა და მეთავალყურეობის გაუმჯობესების მიზნით, შეძენილ იქნა თანამედროვე აღჭურვილობა და სახარჯი მასალები, დაემატა ორი დანადგარი.
3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება მიზანშეწონილია სწავლების მეთოდოლოგიაში პერსონალის გადამზადება და ამ მიმართულებით მათი პროფესიონალიზმის ამაღლება.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2024 წელს სტომატოლოგიის პროგრამის აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებში, ასევე OSCE-ის შეფასების სქემის უკეთ გააზრებისათვის.

	უნივერსიტეტი თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტთან და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრთან. დანართის სახით წარმოდგენილია ორი 6-საათიანი ტრენინგის ანოტაცია და პერსონალის სერტიფიკატები.
3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება სწავლის შედეგებისთვის ფინალურ გამოცდებზე OSCE ს შეფასების სქემა პრაქტიკული თვალსაზრისით სრულყოფილად უნდა იყოს გააზრებული შეფასების პროცესში ჩართული პერსონალისათვის, აღნიშნულის გათვალისწინებით რეკომენდებულია ჩატარდეს ტრეინინგი.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2024 წელს სტომატოლოგიის პროგრამის აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებში, ასევე OSCE-ის შეფასების სქემის უკეთ გააზრებისათვის. წარმოდგენილია ჩატარებული ტრენინგების ანოტაცია და პერსონალის სერტიფიკატები.
3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული კურიკულუმის შემუშავების პროცესში.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** მიმდინარე შეფასების პროცესში გამოვლინდა, რომ სტუდენტების, კურსდამთაბრებულების და დამსაქმებლების რეკომენდაციის შესაბამისად, სტომატოლოგიის პროგრამაზე გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტი. ვიზიტის დროს დამსაქმებლებმა განაცხადეს, რომ ჩართულები არიან პროგრამების განვითარების პროცესში. მათი რჩევის შესაბამისად, ფსიქოლოგიის პროგრამაზე დაემატა სავალდებულო საგანი, სტომატოლოგიის პროგრამაზე პრაქტიკული კომპონეტის კლინიკურ ნაწილზე ჯგუფებში შემცირდა სტუდენტების რაოდენობა (4-5 სტუდენტი), გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტი.
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლა სწავლების თანამედროვე მეთოდებში (PBL, CBL, და ა.შ.) სტომატოლოგიის პროგრამისათვის.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2024 წელს განხორციელდა პერსონალის გადამზადება სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებში, მათ შორის PBL, CBL, და ა.შ. ჩატარდა ორი 6-საათიანი ტრენინგი და პერსონალს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატები.
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი რეკომენდირებულია ყველა ლექტორ მასწავლებელი დაემორჩილოს გაწერილ სქემას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საქმიანობის შესრულებისას და თითოეულმა სტუდენტმა სტომატოლოგიურ კლინიკაში გაატაროს პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი დრო ამომწურავად.	**რეკომენდაცია შესრულებული არ არის.** მიმდინარე შეფასების პროცესში ერთ-ერთი სტომატოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამ უნივერსიტეტის სტუდენტები ან არ დადიან კლინიკაში ან ვინც დადის სათანადოდ არ სწავლობს. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ გასაკვირია ის ფაქტიც, რომ ასეთი სტუდენტები მაინც გადადიან კურსიდან კურსზე. კლინიკის დათვალიერების დროს, ადგილზე არ იყო უშუალოდ პედაგოგი. ინფორმაციის გადამოწმების

	მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ამ პირთან ონლაინ ჩართვა, რა დროსაც აღნიშნული პედაგოგი შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი ტიპის პასუხებით, რის გამოც ვერ მოხერხდა ინფორმაციის დაზუსტება.
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი რეკომენდირებულია სამეცნიერო აქტივობის გაძლიერება და მასში არა მხოლოდ აკადემიური, არამედ მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართვა.	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.** დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა სამეცნიერო პოტენციალის გაზრდა. კვლევების და განვითარების ცენტრი აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. წახალისებულია სამეცნიერო აქტივობებში როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის ჩართულობა. დაწესებულებამ შეიმუშავა სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2028, რომლის ძირითად მიზანსაც სწორედ უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის ზრდა წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში რუმინეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან ერთად ჩატარდა სამეცნიერო კონფერენიცია. თუმცა, დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი ანალიზის დოკუმენტი, რომელიც აღწერდა დეტალურად, მაგალითად, რამდენი სამეცნიერო კონფერენცია დაიგეგმა და რამდენმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა ან რამდენმა პერსონალმა გამოაქვეყნა პუბლიკაციები. მნიშვენლოვანია განხორციელდეს დაკვირვება ბოლო წლების მიხედვით, რათა შესაძლებელი იყოს სამეცნიერო აქტივობების ზრდის ან კლების დინამიკის მიხედვით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი რეკომენდირებულია ინსტიტუციის მხრიდან აქტიური გეგმის შემუშავება, რომელიც გააძლიერებს და აამაღლებს უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ენის ცოდნის დონეს.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** სტუდენტების სესიაზე წარმოდგენილი პირები საუბრობდნენ პროგრამის სწავლების ენაზე. ამასთან, უნივერსიტეტის 2024 წლის 9 სექტემბრის №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი, სადაც გაწერილია პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პირის ჩარიცხვისათვის შესაბამისი ენის კომპეტენციის დადგენის პროცედურები. გარდა ამისა, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ენების ინოვაციურ აკადემიასთან, რაც ხელს უწყობს სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების განვითარებას. აკადემია ახორციელებს ინგლისური და რუსული ენების შემსწავლელ კურსებს, ხოლო უნივერსიტეტი მაღალი მოსწრების მქონე სტუდენტებს სთავაზობს დაფინანსებას ან თანადაფინანსებას.
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი რეკომენდირებულია ყველა სტომატოლოგიურ კლინიკას ჰყავდეს შრომითი უსაფრთხოების თანამშრომელი.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უნივერსიტეტს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების კონტროლსა და დაცვას უნივერსიტეტში. რაც შეეხება კლინიკებს, თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ

	უნივერსიტეტმა გადაამოწმა შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების არსებობა პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებში და კლინიკებს ჰყავთ ასეთი პირი. იგივე იქნა განმარტებული ინტერვიუს დროსაც.
3.3 სწავლის შედეგების შეფასება უმეტეს სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეიცვალა, თუმცა ისევ ვხვდებით კლინიკური კომპონენტის შეფასების ისეთ მეთოდებს, რომელშიც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს არ აქვს ჩატარებული გადამზადება მინი კლინიკური გამოცდა Mini Cex), მაგალითად, სასწავლო კურსებში: ქირურგია, ენდოდონტია. რეკომენდებულია, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განახორციელებელი პერსონალის გადამზადება სასწავლო სილაბუსებით განსაზღვრულ შეფასების თანამედროვე მეთოდებში მინი კლინიკური გამოცდა Mini Cex).	**რეკომენდაცია შესრულებულია.** 2024 წელს სტომატოლოგიის პროგრამის აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებში. უნივერსიტეტი თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტთან და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრთან. დანართის სახით წარმოდგენილია ორი 6-საათიანი ტრენინგის ანოტაცია და პერსონალის სერტიფიკატები.
3.3 სწავლის შედეგების შეფასება მიზანშეწონილია სტომატოლოგიის საბაზისო დისციპლინების სწავლების ეტაპზე პრაქტიკული უნარების შეფასების სისტემის დახვეწა და მათში ჩართული სპეციალისტების გადამზადება მეთოდოლოგიაში.	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.** მეორე რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაწესებულებამ დაასრულა წინა ვიზიტის დროს მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. OSCE-ს მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგის მიზნით დაყენებულია ვიდეო კამერები. ასევე განხორციელდა გამოცდების პროცესში ჩართული სპეციალისტების გადამზადება მეთოდოლოგიაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს პრაქტიკული უნარების შეფასების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტომატოლოგიურ კლინიკებში განხორციელებული პრაქტიკის დროს სტუდენტების შედეგების მიღწევადობას ყველა კლინიკასა და ყველა სტუდენტის შემთხვევაში.
3.3 სწავლის შედეგების შეფასება მიზანშეწონილია პროფესიონალიზმის უწყვეტი შეფასების მეთოდად პორტფოლიოს აქტიური გამოყენების დანერგვა.	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.** თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ დაწესებულებაში უწყვეტი შეფასების მეთოდად პორტფოლიოს გამოყენება ჯერ არ ხორციელდება, თუმცა დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები და უნივერსიტეტი 2025 წლის ბოლომდე გეგმავს სრულად გადავიდეს პორტფოლიოს მეთოდის გამოყენებაზე.
3.3 სწავლის შედეგების შეფასება რეკომენდირებულია ინგლისურენოვან ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა ინგლისური ენის დონის, პროგრამის მოთხოვნებთან რელევანტურობის მუდმივი მონიტორინგის სქემის შემუშავება.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უნივერსიტეტის 2024 წლის 9 სექტემბრის №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი, სადაც გაწერილია პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პირის ჩარიცხვისათვის შესაბამისი ენის კომპეტენციის დადგენის პროცედურები.
3.3 სწავლის შედეგების შეფასება	**რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.**

რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან აკადემიური მოსწრების შედარებითი ანალიზის დანერგვა და ხარვეზების გამოვლენა წლების მიხედვით.	დაწესებულებამ წარმოადგინა სწავლის შედეგების ანალიზის დოკუმენტი პროგრამების მიხედვით. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასების ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების მიერ ერთობლივად ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს აკადემიურმა პერსონალმა მკაფიოდ ვერ აღწერა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და პროცესი. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალი აქტიურად ჩაერთოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის პროცესში.
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა დაწესებულებაში მოქმედ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრული მაჩვენებლების შესაბამისად.	**რეკომენდაცია შესრულებულია. მტკიცებულებები წარმოდგენილია.** [შესაბამისობაშია მოთხოვნებთან] სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობები საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიან და ქართულ ენაში მომზადების პროგრამებისთვის. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, ირკვევა, რომ 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებთან სრულ შესაბამისობაშია (დანართი 33-34).
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გაუმჯობესოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.	**რეკომენდაცია შესრულებულია. მტკიცებულებები წარმოდგენილია.** [შესაბამისობაშია მოთხოვნებთან] უსდ აწარმოებს სტატისტიკურ ინფორმაციას პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ. შესაბამისი დანართები წარმოდგენილია.
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის დატვირთვის სემესტრულად განახლებადი სქემის ფორმირება ყოველ სემესტრულად, სადაც გათვალისწინებული/მითითებული იქნება პერსონალის დატვირთვა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.	**რეკომენდაცია შესრულებულია. მტკიცებულებები წარმოდგენილია.** [შესაბამისობაშია მოთხოვნებთან] ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც მითითებულია პერსონალის სემესტრული დატვირთვა როგორც თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში, ასევე სხვა უსდ-ში.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები რეკომენდირებულია სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად აირჩიონ სასწავლო კურსები და სწავლის საფასური გადაიხადონ კრედიტების შესაბამისად.	**რეკომენდაცია არ არის შესრულებული.** ვიზიტის დროს სტუდენტებმა დააფიქსირეს რომ მათ საგნების არჩევა არ შეუძლიათ www.thu.ge – ზე, ასევე ინტერვიუს დროს ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული პორტალის გადამოწმება სტუდენტის დახმარებით, რა დროსაც ვერ მოხერხდა სტუდენტის ფინანსური ინფორმაციის შემოწმება აღნიშნულ პორტალზე.
5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები რეკომენდირებულია, უცხო ქვეყნის მოქალაქე ყველა სტატუსშეჩერებული სტუდენტის შესახებ ინფორმაცია გაეგზავნოს სერვისების განვითარების სააგენტოს.	**რეკომენდაცია შესრულებულია. მტკიცებულებები წარმოდგენილია.** დაწესებულებამ გამოითხვა და წარმოადგინა წერილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, სადაც ნათლად ჩანს რომ უნივერსიტეტი პერიოდულად აწვდის ინფორმაციას უცხო ქვეყნის მოქალაქე სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ.
5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები რეკომენდრებულია აკადემიურ პერსონალს განესაზღვროს გონივრული ვადა მიმდინარე მოსწრების ქულების შესატანად ონლაინ პლატფორმაზე და უსდ-ს მიერ მოხდეს პროცესის მონიტორინგი.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** დაწესებულებამ წარმოადგინა „სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მექანიზმები“, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი ლექტორის ვალდებულება რომ შუალედური/ფინალური გამოცდის ჩატარების შემდეგ 5 სამუშაო დღეში პორტალზე ასახოს შეფასებები, რასაც მკაცრ კონტროლს გაუწევს ფაკულტეტის ადმინისტრაცია.
5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები რეკომენდირებულია უცხოენოვან პროგრამებზე მიღებისათვის საჭირო ინგლისურის და რუსული ენის ტესტების მოდიფიცირება იმდგვარად, რომ მოხდეს წერითი, მოსმენის და საუბრის კომპეტენციების შემოწმებაც.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** უნივერსიტეტმა შეიმუშავა „ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი“, რომლის მიხედვითაც მოხდება ინგლისური და რუსული ენის წერითი, მოსმენის და საუბრის კომპონენტის შემოწმება. ასევე დაწესებულებამ წამოადგინა ენის დონის განმსაზღვრელი ტესტების ნიმუშები.
6.1. კვლევითი საქმიანობა რეკომენდირებულია სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება და თვალსაჩინო ანგარიშის წარმოდგენა.	**ნაწილობრივ შესრულებულია,** კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ბოლო საანგარიშო წლის ანგარიშები წარმოდგენილია, თუმცა ამ ანგარიშებს აკლია სიზუსტე და ანალიტიკა. ამ კომპონენტში გაიცა დამატებითი რეკომენდაცია.
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია უნდა გაიზარდოს კონფერენციებსა და სამეცნიერო აქტივობებში ჩართული პერსონალის	**რეკომენდაცია არ არის შესრულებული.** სამეცნიერო აქტივობებში პერსონალის ჩართულობის გაზრდა, უსდ-ს მიერ იდენტიფიცირებულია როგორც გასაუმჯობესებელი მხარე 2024-2028 წლის

რიცხვი. აღნიშნული ეხება არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ მოწვეულ სპეციალისტებსაც.	სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის მიხედვით. ამ ეტაპზე, 2023-2024 წლის ანგარიშების საფუძველზე, რამდენად გაიზარდა პერსონალის სამეცნიერო აქტივობა რთული შესაფასებელია, რადგან არ არის წარმოდგენილი ანალიზი, სადაც ექსპერტთა ჯგუფი დაინახავდა წინა წლებთან შედარებით ჩართულობის ზრდის ტენდენციას.
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება უნივერსიტეტმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ან აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის ანალიზი.	**რეკომენდაცია არ არის შესრულებული.** წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია რჩება ისევ რელევანტურად - უნივერსიტეტმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ან აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის ანალიზი - რადგან წარმოდგენილი არ არის ანალიზის დოკუმენტი.
სტანდარტი 7.1. მატერიალური რესურსი რეკომენდირებულია სტომატოლოგიის პროგრამებისათვის პრაქტიკის ობიექტების, ასევე კლინიკური პრაქტიკის საუნივერსიტეტო სივრცის გაუმჯობესება თანამედროვე და საკმარისი რაოდენობის აღჭურვილობით და სახარჯი მასალებით, სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად;	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ანგარიშით წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაცია და მტკიცებულებები, რაც დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს.
სტანდარტი 7.1. მატერიალური რესურსი რეკომენდირებულია ხელშეკრულებების/მემორანდუმების განახლება კლინიკებთან, სადაც მიმდინარეობს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ანგარიშით წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაცია და მტკიცებულებები, რაც დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს.
სტანდარტი 7.4. ფინანსური რესურსი რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ფინანსური აუდიტი და წარმოადგინოს დასკვნები შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებებით.	**რეკომენდაცია შესრულებულია.** ანგარიშით წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაცია და მტკიცებულებები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

1.2. „კომპონენტი“

“რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოამზადოს სამოქმედო გეგმების შესრულების ყოველწლიური ანგარიშები და დეტალურად წარმოადგინოს რეაგირების შედეგად განხორციელებული აქტივობები.”

“რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობა, იზრუნოს სამეცნიერო პოტენციალის ზრდაზე, რაც მკაფიოდ გამოიკვეთება სტრატეგიული განვითარების გეგმაში და შემდგომ აისახება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებში.”

2.1. „კომპონენტი“

„იმისათვის, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებზე პასუხისმგებელი ერთეულები, მეტად ეფექტურად ახორციელებდნენ შესაბამის ფუნქციებს, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მეტი გამჭვირვალობა. მიზანშეწონილია დაწესებულებამ მუდმივად განაახლოს საშტატო განრიგი და დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა იმგვარად, რომ იგი ასახავდეს დაწესებულების მმართველ ორგანოებში სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელებულ ფაქტობრივ ცვლილებებს. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის ავთენტურობა.“

„შეუფერხებელი და სტანდარტებთან შესაბამისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ადამიანური კაპიტალის სათანადო რაოდენობით შევსება და მისი მდგრადობა, განსაკუთრებით უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.“

“უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების პერმანენტულობის და მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სტრატეგიული განვითარების გეგმის და სტრატეგიულ სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პასუხიმგებელი პირ(ებ)ი.”

2.2. „კომპონენტი“

„უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გაძლიერება, დაწესებულების სტანდარტებთან კომპლექსური, მდგრადი, მიზნობრივი და სისტემური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.“

„რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი მთავარი სტრუქტურული ერთეულის - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გაძლიერება ადამიანური კაპიტალით.“

„რეკომენდებულია, რომ ხარისხის კულტურის განვითრება იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის საერთო მიზანი, რაც გულისხმობს სამსახურებრივი პასუხისმგებლობებისა და საქმიანობის მრავალმხრივი შეფასებების ინტეგრირებას.“

3.2. „კომპონენტი“

„რეკომენდირებულია ყველა ლექტორ-მასწავლებელი დაემორჩილოს გაწერილ სქემას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საქმიანობის შესრულებისას და თითოეულმა სტუდენტმა სტომატოლოგიურ კლინიკაში გაატაროს პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი დრო ამომწურავად.”

„რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მკაცრი მონიტორინგი და სათანადოდ შეაფასოს სტუდენტების მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის დონე.“

„რეკომენდებულია, განხორციელდეს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების ანალიზი და წლების მიხედვით დინამიკაში დაკვირვება, რათა შესაძლებელი იყოს სამეცნიერო აქტივობების ზრდის ან კლების დინამიკის მიხედვით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.“

3.3. „კომპონენტი“

„რეკომენდებულია სტომატოლოგიის საბაზისო დისციპლინების სწავლების ეტაპზე პრაქტიკული უნარების შეფასების სისტემის დახვეწა და მათში ჩართული სპეციალისტების გადამზადება მეთოდოლოგიაში.“

„რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პრაქტიკული უნარების შეფასების ისეთი სისტემა და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სტომატოლოგიურ კლინიკებში განხორციელებული პრაქტიკის დროს სტუდენტების შედეგების მიღწევადობას ყველა კლინიკასა და ყველა სტუდენტის შემთხევაში.“

„რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალი აქტიურად ჩაერთოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის პროცესში.“

5.1. „კომპონენტი“

„რეკომენდირებულია სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად აირჩიონ სასწავლო კურსები და სწავლის საფასური გადაიხადონ კრედიტების შესაბამისად.“

6.1. „კომპონენტი“

„რეკომენდირებულია სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება და თვალსაჩინო ანგარიშის წარმოდგენა.“

„რეკომენდირებულია, უსდ-მ მოახდინოს პერსონალის (აკადემიური/მოწვეული) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის არამხოლოდ ნარატიული ფორმით წარმოდგენა, არამედ ანალიზი.“

6.2. „კომპონენტი“

„უნდა გაიზარდოს კონფერენციიებსა და სამეცნიერო აქტივობებში ჩართული პერსონალის რიცხვი. აღნიშნული ეხება არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ მოწვეულ სპეციალისტებსაც.“

6.3. „კომპონენტი“

„უნივერსიტეტმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ან აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის ანალიზი.“

რჩევები

4.2. „კომპონენტი“

„უსდ-მ უნდა დაგეგმოს და განახორციელოს რიგი აქტივობები, რომ ადმინისტრაციული, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი იცნობდეს ინსტიტუციურ რეგულაციებს, რა მოთხოვნები და მოლოდინები არსებობს მათ მიმართ, როგორ ფასდება მათი საქმიანობა და რა შესაძლებლობები აქვთ მათ.“

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ 2025 წლის 10 ივლისის #287/01 წერილით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დადასტურდა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები შემუშავებულია შეფასების პროცესში არსებული, დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებების/მტკიცებულებების გათვალისწინებით და თითოეული მათგანი მიემართება შესაბამისი სტანდარტის დაკმაყოფილების მიზანს. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს შემუშავებული რეკომენდაციების სტატუსს და მათ რედაქციას.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☐	☒	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐

1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☒	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☐	☐	☒	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☒
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☒	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☒	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. დავით მახვილაძე (თავმჯდომარე)
2. დიანა მჭედლიშვილი (წევრი)
3. თინათინ დვალიშვილი (წევრი)
4. გიორგი მერაბიშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის ფარგლებში არ არსებობდა შესასრულებელი რეკომენდაცია. ვიზიტის დროს, არსებითი გარემოებების შემოწმების შედეგად, არ წარმოიშვა ახალი რეკომენდაციის შემუშავების საჭიროება
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ----
რეკომენდაციები: -----
რჩევები: -----
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **რეკომენდაცია:** "რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოამზადოს სამოქმედო გეგმების შესრულების ყოველწლიური ანგარიშები და დეტალურად წარმოადგინოს რეაგირების შედეგად განხორციელებული აქტივობები." **რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.**

რეკომენდაციის შესრულების მიზნებისათვის, უნივერსიტეტმა ანგარიშით და თანდართული დოკუმენტაციით წარმოადგინა ინფორმაცია სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ. თუმცა პროცესების პერმანენტულობის და მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სტრატეგიული განვითარების გეგმის და სტრატეგიულ სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პასუხიმგებელი პირ(ებ)ი. **რეკომენდაცია:** “რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობა, იზრუნოს სამეცნიერო პოტენციალის ზრდაზე, რაც მკაფიოდ გამოიკვეთება სტრატეგიული განვითარების გეგმაში და შემდგომ აისახება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებში.” **რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.** რეკომენდაციის შესრულების მიზნებისათვის, უნივერსიტეტმა ანგარიშით და თანდართული დოკუმენტაციით წარმოადგინა ინფორმაცია აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის შესახებ, აგრეთვე ხედვები და აქტივობები სამეცნიერო პოტენციალის ზრდასთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც წინარე რეკომენდაციის ნაწილში, აქაც აქტულურ გამოწვევად რჩება სტრატეგიული განვითარების გეგმის და სტრატეგიულ სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პასუხიმგებელი პირ(ებ)ის არარსებობა, რაც პრობლემას წარმოშობს პროცესების პერმანენტულობის და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. თჰუ სტრატეგიული გეგმა 2019-2025 2. თჰუ სამოქმედო გეგმა 2022-2025; 3. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; 4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები 2019-2024 წწ; 5. სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2028; 6. კვლევების ცენტრის დებულება (მოდიფიცირებული) 7. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების წესი 8. კვლევის ეთიკის კოდექსი 9. კვლევებისა და სამეცნიერო სამიქნობის 2023 და 2024 წლების ანგარიშები, სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ანგარიში 2023-2024წწ. 11. ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: “რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოამზადოს სამოქმედო გეგმების შესრულების ყოველწლიური ანგარიშები და დეტალურად წარმოადგინოს რეაგირების შედეგად განხორციელებული აქტივობები.” “რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობა, იზრუნოს სამეცნიერო პოტენციალის ზრდაზე, რაც მკაფიოდ გამოიკვეთება სტრატეგიული განვითარების გეგმაში და შემდგომ აისახება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებში.”
რჩევები: -----

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **რეკომენდაციები:** • **იმისათვის, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებზე პასუხისმგებელი ერთეულები, მეტად ეფექტურად ახორციელებდნენ შესაბამის ფუნქციებს, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მეტი გამჭვირვალობა. მიზანშეწონილია დაწესებულებამ მუდმივად განაახლოს საშტატო განრიგი და დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა იმგვარად, რომ იგი ასახავდეს დაწესებულების მმართველ ორგანოებში სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელებულ ფაქტობრივ ცვლილებებს. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის ავთენტურობა.** • **დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებისას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმაციის მუდმივად და დროულად განახლება შესაბამის საინფორმაციო მართვის სისტემების ბაზაში.** წინა შეფასების დროს ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავდა, რომ დაწესებულების ვებ-გვერდზე მართვის ორგანოებში მითითებული იყო რექტორის ორი მოადგილის პოზიცია, რომელიც ასახული არ იყო არც დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურაში და არც დაწესებულების საშტატო განრიგში. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს რექტორის მოადგილეების სტატუსით შეხვედრებში მონაწილეობას იღებდა ორი პერსონალი. მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილი იყო დაწესებულებას მუდმივად განეახლებინა საშტატო განრიგი და დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა იმგვარად, რომ იგი ასახავდეს დაწესებულების მმართველ ორგანოებში/სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელებულ ფაქტობრივ ცვლილებებს. შესაბამისად, დაწესებულებას უნდა უზრუნველყო ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის ავთენტურობა. ამ შეფასების ფარგლებში დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა საშტატო განრიგი, რომელშიც ასევე მითითებული იყო რექტორის ორი მოადგილე, თუმცა ვიზიტის დღეს ვებგვერდზე ატვირთულ დაწესებულების სტრუქტურაში მითითებული იყო ერთი მოადგილე. დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს აღნიშნეს, რომ დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ შეიცვლა სტრუქტურა და ეხლა არის

ერთი მოადგილე. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა განახლებული საშტატო განრიგი და დაწესებულების სტრუქტურა, სადაც მითითებულია ერთი ვიცე-რექტორი, ვინც ასევე ესწრებოდა სესიებს. ამჟამინდელი საშტატო განრიგი დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით 2025 წლის 25 მარტს, ბრძამება #30/06-ით. ვებგვერდზე 8 მაისს ამოღებული მონაცემების საფუძველზე, დაწესებულების სტრუქტურაში ისევ მითითებულია 2 ვიცე-რექტორი, რაც არ შეესაბამება დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს მოწოდებულ საშტატო განრიგს.

ზემოთ აღნიშნული ბრძანება ითვლისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და 2 სპეციალისტს. თუმცა ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ სამსახურს ამ ეტაპზე არ ჰყავს უფროსი. წარმოდგენილი იყვნენ მხოლოდ სპეციალისტები, რომელთაგან ერთი 2 თვის, მეორე 4 თვის და მესამე სულ ერთი თვის დანიშნული იყო პოზიციაზე. როდესაც დაწესებულება გადის სტუდენტთა მიღების შეზღუდვის მოხსნის პროცესს და ასევე ემზადება რეავტორიზაციის პროცესისათვის, მიზანშეწონილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჰყავდეს უფროსი, პროცესების კოორდინირების და PDCA ციკლის შესრულების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად. ასევე, მნიშვნელოვანია სამსახურში ადამიანური რესურსების მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ განაპირობებს პროცესების მდგრადობას და ორგანიზაციის თანმიმდევრულ განვითარებას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების სტრუქტურა არ ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს ან პირს, რაც ასევე შემაფერხებელია დაწესებულების განვითარებისათვის და შეუფერხებლად ფუნქციონერებისათვის. ამრიგად, მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მდგრადობის და საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა, რათა უნივერსიტეტმა მომხმარებელს შესთავაზოს მდგრადი და ხარისხიანი მომსახურება.

ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერისიტეტს აქვს მხოლოდ ორი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - ჯანდაცვის ფაკულტეტი და სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სამართლის, ბიზნესის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს ემსახურება მხოლოდ 4 ადმინისტრაციული პერსონალი - დეკანი, 2 მენეჯერი და იურიდიული კლინიკის ხელმძღვანელი იმ დროს, როცა აერთიანებს 4 განსხვავებულ სფეროს.

პირველი რეკომენდაციის შესრულების კუთხით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იგი შესრულებულად ვერ ჩაითვლება. მეტიც, არსებული საუნივერსიტეტო სტრუქტურა ვერ პასუხობს ავტორიზაციის შესაბამის სტანდარტთან შესაბამისობას.

მეორე რეკომენდაციის შესაბამის აღწერილობით ნაწილში წინა შეფასების დროს აღნიშნული იყო, რომ ფიქსირდებოდა გარკვეული შეუსაბამობა აქტიურ და სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა საერთო რაოდენეობების შესახებ დაწესებულების მიერ მოწოდებულ ინფორმაციასა და სსიპ-საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრის) მიერ ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობებს შორის. ასევე, აღნიშნული იყო, რომ ვერ მოხერხდა ინფორმაციის გადამოწმება სერვისების განვითარების სააგენტოსთვის დაწესებულების მიერ მიწოდებული სტატუსშეწყვეტილი/შეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების სახელობითი სიის შესახებ, ვინაიდან დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტი არ შეიცავდა სტუდენტების სახელობით სიას.

აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა რეესტრის წარმოების წესი და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი წერილი და მასზე მიღებული პასუხი. აღნიშნული წერილების მიხედვით გამოიკვეთა, რომ 01.01.2023 წლიდან 02.10.2025 წლამდე პერიოდში, შ.პ.ს. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან სააგენტოში შესულია 127 შეტყობინება ბინადრობის ნებართვის საფუძვლის შეწყვეტის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს განაცხადეს, რომ ისინი დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, ახორციელებენ მონაცემების განახლებას საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების ვებ-გვერდი https://www.thu.edu.ge/ka;
- რექტორის ბრძანება საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე (25.03.2025, ბრძამება #30/06);
- დაწესებულების საშტატო განრიგი და ადმინისტრაციული-დამხმარე პერსონალის სია;
- დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა;
- თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რეესტრის წარმოების წესი;

- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი წერილი (03.02.2025, №17/01) და მასზე მიღებული პასუხი (11.02.2025, N 01/28817);
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახე, 2024 წ.;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- იმისათვის, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებზე პასუხისმგებელი ერთეულები, მეტად ეფექტურად ახორციელებდნენ შესაბამის ფუნქციებს, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მეტი გამჭვირვალობა. მიზანშეწონილია დაწესებულებამ მუდმივად განაახლოს საშტატო განრიგი და დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა იმგვარად, რომ იგი ასახავდეს დაწესებულების მმართველ ორგანოებში სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელებულ ფაქტობრივ ცვლილებებს. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის ავთენტურობა.
- შეუფერხებელი და სტანდარტებთან შესაბამისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ადამიანური კაპიტალის სათანადო რაოდენობით შევსება და მისი მდგრადობა, განსაკუთრებით უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების პერმანენტულობის და მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სტრატეგიული განვითარების გეგმის და სტრატეგიულ სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პასუხიმგებელი პირ(ებ)ი.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- **დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენებით უნდა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების სათანადო შეფასება, ამასთანავე, უნდა უზრუნველყოს ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ის რაოდენობები, რაც გათვალისწინებულია დაწესებულების სტუდენტთა კონტინგენტის,**

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით. დაწესებულებამ სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში უნდა ასახოს ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის სტუდენტთა და პერსონალის დაგეგმვის ასპექტები.

წინა შეფასების დროს ექსპერტების მიერ აღნიშნული იყო, რომ დაწესებულების სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით გათვალისწინებული კრიტერიუმი, რომ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ემსახურებოდეს არანაკლებ 5 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი ირღვეოდა, მაგალითად, „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი პროგრამების, „ბიზნესის ადმინისტრირების“ ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი, კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმი სრულდება დაწესებულების ყველა საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში.

რეკომენდაციის მეორე ნაწილი ეხება სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ქართულ ენაში მომზადების პროგრამისთვის სტუდენტთა და პერსონალის დაგეგმვის ასპექტების ასახვას. ამ რეკომენდაციის შესრულების საპასუხოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტი, რომელშიც თჰუ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 ივნისის N08 და 2024 წლის 09 სექტემბრის N10 გადაწყვეტილებებით შევიდა ცვლილება და აისახა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტთა და პერსონალის დაგეგმვის ასპექტები. კერძოდ, მე-4 პუნქტს დაემატა შემდეგი ქვეპუნქტი:
„დ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის - 1 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი არაუმეტეს 20 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 2 პროფესორისა/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი თითოეულ პროგრამაზე;“ შესაბამისად, ამ ნაწილში რეკომენდაცია შესრულებულია.

ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი განიცდის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ნაკლებობას, სტანდარტებთან კომპლექსური, მდგრადი, მიზნობრივი და სისტემური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, როგორც ფორმალური, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. აღნიშნული შეფასების საფუძველს იძლევა დაწესებულების მიერ ანგარიშით წარმოდგენილი ინფორმაციის და დოკუმენტაციის ანალიზი, რომელიც ერთი მხრივ არასაკმარის იფორმაციას მოიცავს კომპლექსიური შეფასებისთვის და მეორე მხრივ, თავად საუნივერსიტეტო სამართლებრივი ბაზა არ იძლევა სრულყოფილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის არსებობის შესაძლებლობას. კერძოდ, უნივეტრსიტეტის მიერ წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბერის 15/2020 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამართლებრივი აქტი - „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტით მოწესრიგებულია მეტწილად „სასწავლო პროცესის“ ხარისხის შეფასებისათვის გათვალისწინებული კრიტერიუმები, ხოლო „სასწავლო გარემოს“ ობიექტური ხარისხობრივი შეფასების შესაძლებლობა მაქსიმალურად შეზღუდულია, ისევე როგორც უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის შეფასება კომპლექსურად. აღნიშნულ ვითარებას განაპირობებს, როგორც საუნივერსიტეტო სამართლებრივი, ასევევე, ადამიანური კაპიტალის თვალსაზრისით, ფაქტობრივივი გარემოებები. შექმნილი ვითარება მოითხოვს გაძლიერდეს უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემაში დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეულისა და თანამშრომლის როლის სრულყოფილად გაცნობიერება და ამ მხრივ, დაწესებულების ხარისხის კულტურის განვითარება. ამ თვალსაზრისით, დაწესებულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს თავად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი მთავარი სტრუქტურული ერთეულის - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გაძლიერება ადამიანური კაპიტალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი (10.09.2024);
- სტუდენტთა კონტინგენტის , აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის

- მეთოდოლოგია;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახე, 2024 წ.;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

„უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გაძლიერება, დაწესებულების სტანდარტებთან კომპლექსური, მდგრადი, მიზნობრივი და სისტემური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.“

„რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი მთავარი სტრუქტურული ერთეულის - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გაძლიერება ადამიანური კაპიტალით.“

„რეკომენდებულია, რომ ხარისხის კულტურის განვითრება იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის საერთო მიზანი, რაც გულისხმობს სამსახურებრივი პასუხისმგებლობებისა და საქმიანობის მრავალმხრივი შეფასებების ინტეგრირებას.“

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის ფარგლებში არ არსებობდა შესასრულებელი რეკომენდაცია.

ვიზიტის დროს, არსებითი გარემოებების შემოწმების შედეგად, არ წარმოიშვა ახალი რეკომენდაციის შემუშავების საჭიროება

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- **მიზანშეწონილია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.**
- **მიზანშეწონილია სწავლების მეთოდოლოგიაში პერსონალის გადამზადება და ამ მიმართულებით მათი პროფესიონალიზმის ამაღლება.**
- **სწავლის შედეგებისთვის ფინალურ გამოცდებზე OSCE -ს შეფასების სქემა პრაქტიკული თვალსაზრისით სრულყოფილად უნდა იყოს გააზრებული შეფასების პროცესში ჩართული პერსონალისათვის, აღნიშნულის გათვალისწინებით რეკომენდებულია ჩატარდეს ტრეინინგი.**
- **დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული კურიკულუმის შემუშავების პროცესში.**

წინა შეფასების დროს, პერსონალთან გასაუბრებებისას გამოვლინდა, რომ მიზნის მისაღწევად დასახული გზა ბოლომდე ნათელი არ იყო მათთვის. მაგალითად, სწავლის შედეგებისთვის ფინალურ გამოცდებზე OSCE -ს შეფასების სქემა პრაქტიკული თვალსაზრისით არ იყო გააზრებული სრულყოფილად. ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა დამსაქმებლების ნაკლები ჩართულობა პროგრამების შემუშავების პროცესში. გარდა ამისა, შეხვედრების შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი სტაჟირებები სასარგებლო იყო, მაგრამ უმეტესობა მათგანმა აღნიშნა, რომ შრომით ბაზარზე გასასვლელად მათ უფრო დაეხმარებოდა პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება როგორც სტაჟირებისას, ასევე, უნივერსიტეტში სწავლისას. სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებმა ასევე გამოხატეს დიდი სურვილი, რომ სწავლების პროცესში პრაქტიკული კომპონენტის წილი გაზრდილიყო.

მიმდინარე შეფასების პროცესში გამოვლინდა, რომ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეკომენდაციის შესაბამისად, სტომატოლოგიის პროგრამაზე გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტი. სტომატოლოგიის პროგრამა მოიცავს პრაქტიკული უნარების შეფასების სხვადასხვა მეთოდს, მათ შორის: OSCE, Mini-Cex, დღიურის წარმოება. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულება თანამშრომლობს სხვადასხვა კლინიკასთან. ბოლო პერიოდში დამატებით ორ კლინიკასთან გაფორმდა მემორანდუმი პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით, კერძოდ: შპს ბაიები სამედიცინო კლინიკა და სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“. დასრულდა მცირე ზომის სარემონტო სამუშაოები კლინიკური პრაქტიკის საუნივერსიტეტო სივრცეში, დამატებით დამონტაჟდა და გაიზარდა ვიდეო-კამერების რაოდენობა კონტროლისა და მეთავალყურეობის გაუმჯობესების მიზნით, შეძენილ იქნა თანამედროვე აღჭურვილობა და სახარჯი მასალები, დაემატა ორი დანადგარი.

ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ დამსაქმებლების რჩევის შესაბამისად, ფსიქოლოგიის პროგრამაზე დაემატა სავალდებულო საგანი, სტომატოლოგიის პროგრამაზე პრაქტიკული კომპონეტის კლინიკურ ნაწილზე ჯგუფებში შემცირდა სტუდენტების რაოდენობა (4-5 სტუდენტი), გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტი.

2024 წელს სტომატოლოგიის პროგრამის აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებში, ასევე OSCE-ის შეფასების სქემის უკეთ გააზრებისათვის. უნივერსიტეტი თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტთან და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრთან. დაწესებულებას აქვს გაფორმებული მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან საგანმანათლებლო, სამეცნიერო, პროფესიონალურ საკითხებში ურთიერთთანამშრომლობის გაღრავებისა და განვითარების მიზნით. დანართის სახით წარმოდგენილია ორი 6-საათიანი ტრენინგის ანოტაცია და პერსონალის სერტიფიკატები.

აღნიშნული რეკომენდაციები შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები;
- პერსონალის გადამზადების მიზნით ჩატარებული ორი 6-საათიანი ტრენინგის ანოტაცია;
- პერსონალის სერტიფიკატები;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახე, 2024 წ.;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- **რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლა სწავლების თანამედროვე მეთოდებში (PBL, CBL, და ა.შ.) სტომატოლოგიის პროგრამისათვის.**

- **რეკომენდირებულია ყველა ლექტორ-მასწავლებელი დაემორჩილოს გაწერილ სქემას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საქმიანობის შესრულებისას და თითოეულმა სტუდენტმა სტომატოლოგიურ კლინიკაში გაატაროს პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი დრო ამომწურავად.**
- **რეკომენდირებულია სამეცნიერო აქტივობის გაძლიერება და მასში არა მხოლოდ აკადემიური, არამედ მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართვა.**
- **რეკომენდირებულია ინსტიტუციის მხრიდან აქტიური გეგმის შემუშავება, რომელიც გააძლიერებს და აამაღლებს უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ენის ცოდნის დონეს.**
- **რეკომენდირებულია ყველა სტომატოლოგიურ კლინიკას ჰყავდეს შრომითი უსაფრთხოების თანამშრომელი.**

წინა შეფასების დროს, ექსპერტთა მიერ აღინიშნა, რომ ვიზიტის განხორციელების მომენტისთვის პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე (PBL) სტომატოლოგიის პროგრამის პერსონალის გადამზადება არ იყო ჩატარებული. აღნიშნული სწავლების მეთოდი გამოიყენება სხვადასხვა სასწავლო კურსებში: ფარმაკოლოგია, პათოლოგია. ამდენად, მნიშვნელოვანი იყოს სწრაფი რეაგირება. უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს განხორციელდა პერსონალის გადამზადება სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებში, მათ შორის PBL, CBL, და ა.შ. ჩატარდა ორი 6-საათიანი ტრენინგი და პერსონალს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატები.

შესაბამისად, პირველი რეკომენდაცია შესრულებულია.

წინა შეფასების დროს ერთ-ერთი კლინიკის პედაგოგმა ექსპერტთა ჯგუფს განუმარტა, რომ რადგან ყოველ ჯერზე ყველა სტუდენტი ვერ ახერხებდა დასწრებას, ამიტომ მას სტუდენტები გადანაწილებული ჰყავდა თავისუფალი სქემით. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შეცვლილიყო აღნიშნული მიდგომა და სწავლების პროცესში ჩართული ნებისმიერი პედაგოგისთვის თვალსაჩინო გამხდარიყო მათი პასუხისმგებლობა.

მიმდინარე შეფასების პროცესში ერთ-ერთი სტომატოლოგიური კლინიკის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამ უნივერსიტეტის სტუდენტები ან არ დადიან კლინიკაში ან ვინც დადის სათანადოდ არ სწავლოს. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ გასაკვირია ის ფაქტიც, რომ ასეთი სტუდენტები მაინც გადადიან კურსიდან კურსზე. კლინიკის დათვალიერების დროს, ადგილზე არ იყო უშუალოდ პედაგოგი. ინფორმაციის გადამოწმების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ამ პირთან ონლაინ ჩართვა, რა დროსაც აღნიშნული პედაგოგი შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი ტიპის პასუხებით, რის გამოც ვერ მოხერხდა ინფორმაციის დაზუსტება.

შესაბამისად, მეორე რეკომენდაცია კვლავ აქტუალურია. უფრო მეტიც, რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მკაცრი მონიტორინგი და სათანადოდ შეაფასოს სტუდენტების მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

როგორც უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა სამეცნიერო პოტენციალის გაზრდა. კვლევების და განვითარების ცენტრი აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. წახალისებულია სამეცნიერო აქტივობებში როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის ჩართულობა. დაწესებულებამ შეიმუშავა სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2028, რომლის ძირითად მიზანსაც სწორედ უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის ზრდა წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში რუმინეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან ერთად ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია.

აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ წელიწადში ორი სტატიის გამოქვეყნება უფინასდებათ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი ანალიზის დოკუმენტი, რომელიც აღწერდა დეტალურად, მაგალითად, რამდენი სამეცნიერო კონფერენცია დაიგეგმა და რამდენმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა ან რამდენმა პერსონალმა გამოაქვეყნა პუბლიკაციები. მნიშვენლოვანია განხორციელდეს დაკვირვება ბოლო წლების მიხედვით, რათა შესაძლებელი იყოს სამეცნიერო აქტივობების ზრდის ან კლების დინამიკის მიხედვით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.

შესაბამისად, მესამე რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად.

წინა შეფასების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ დაფიქსირდა ზოგიერთი სტუდენტის ინგლისური ენის დაბალი კომპეტენცია, უნივერსიტეტის მიერ უცხო ენების კურსების გამოცხადებული პრიორიტეტის მიუხედავად.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე შეფასების დროს ასეთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. სტუდენტების სესიაზე წარმოდგენილი პირები საუბრობდნენ პროგრამის სწავლების ენაზე. ამასთან, უნივერსიტეტის 2024 წლის 9 სექტემბრის №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი, სადაც გაწერილია პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პირის ჩარიცხვისათვის შესაბამისი ენის კომპეტენციის დადგენის პროცედურები. გარდა ამისა, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ენების ინოვაციურ აკადემიასთან, რაც ხელს უწყობს სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების განვითარებას. აკადემია ახორციელებს ინგლისური და რუსული ენების შემსწავლელ კურსებს, ხოლო უნივერსიტეტი მაღალი მოსწრების მქონე სტუდენტებს სთავაზობს დაფინანსებას ან თანადაფინანსებას.

შესაბამისად, მეოთხე რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

მეხუთე რეკომენდაციის შესრულების მხრივ დასმულ კითხვაზე დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ უნივერსიტეტს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების კონტროლსა და დაცვას უნივერსიტეტში. რაც შეეხება კლინიკებს, თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ უნივერსიტეტმა გადაამოწმა შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების არსებობა პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებში და კლინიკებს ჰყავთ ასეთი პირი. იგივე იქნა განმარტებული ინტერვიუს დროსაც.

შესაბამისად, მეხუთე რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის გადამზადების მიზნით ჩატარებული ორი 6-საათიანი ტრენინგის ანოტაცია;
- პერსონალის სერტიფიკატები;
- სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2028;
- ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი;
- მემორანდუმი „ენების ინოვაციურ აკადემიასთან;
- რექტორის ბრძანება საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე (25.03.2025, ბრძამება #30/06);
- დაწესებულების საშტატო განრიგი და ადმინისტრაციული-დამხმარე პერსონალის სია;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახე, 2024 წ.;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: • **რეკომენდირებულია ყველა ლექტორ-მასწავლებელი დაემორჩილოს გაწერილ სქემას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საქმიანობის შესრულებისას და თითოეულმა სტუდენტმა სტომატოლოგიურ კლინიკაში გაატაროს პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი დრო ამომწურავად.** • **რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მკაცრი მონიტორინგი და სათანადოდ შეაფასოს სტუდენტების მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის დონე.** • **რეკომენდებულია, განხორციელდეს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების ანალიზი და წლების მიხედვით დინამიკაში დაკვირვება, რათა შესაძლებელი იყოს სამეცნიერო აქტივობების ზრდის ან კლების დინამიკის მიხედვით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.**
რჩევები: -----
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • **უმეტეს სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეიცვალა, თუმცა ისევ ვხვდებით კლინიკური კომპონენტის შეფასების ისეთ მეთოდებს, რომელშიც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს არ აქვს ჩატარებული გადამზადება მინი კლინიკური გამოცდა - Mini-Cex), მაგალითად, სასწავლო კურსებში: ქირურგია, ენდოდონტია. რეკომენდებულია, სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განახორციელებელი პერსონალის გადამზადება სასწავლო სილაბუსებით განსაზღვრულ შეფასების თანამედროვე მეთოდებში მინი კლინიკური გამოცდა Mini Cex).** • **მიზანშეწონილია სტომატოლოგიის საბაზისო დისციპლინების სწავლების ეტაპზე პრაქტიკული უნარების შეფასების სისტემის დახვეწა და მათში ჩართული სპეციალისტების გადამზადება მეთოდოლოგიაში.** • **მიზანშეწონილია პროფესიონალიზმის უწყვეტი შეფასების მეთოდად პორტფოლიოს აქტიური გამოყენების დანერგვა.** • **რეკომენდირებულია ინგლისურენოვან ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა ინგლისური ენის დონის, პროგრამის მოთხოვნებთან რელევანტურობის მუდმივი მონიტორინგის სქემის შემუშავება.**

- **რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან აკადემიური მოსწრების შედარებითი ანალიზის დანერგვა და ხარვეზების გამოვლენა წლების მიხედვით.**

2024 წელს სტომატოლოგიის პროგრამის აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებში. უნივერსიტეტი თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტთან და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრთან. დანართის სახით წარმოდგენილია ორი 6-საათიანი ტრენინგის ანოტაცია და პერსონალის სერტიფიკატები.

შესაბამისად, პირველი რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

მეორე რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაწესებულებამ დაასრულა წინა ვიზიტის დროს მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. OSCE -ს მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგის მიზნით დაყენებულია ვიდეო კამერები. ასევე განხორციელდა გამოცდების პროცესში ჩართული სპეციალისტების გადამზადება მეთოდოლოგიაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს პრაქტიკული უნარების შეფასების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტომატოლოგიურ კლინიკებში განხორციელებული პრაქტიკის დროს სტუდენტების შედეგების მიღწევადობას ყველა კლინიკასა და ყველა სტუდენტის შემთხევაში.

შესაბამისად, მეორე რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად და კვლავ აქტუალურია.

მესამე რეკომენდაციის შესრულების მხრივ თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ დაწესებულებაში უწყვეტი შეფასების მეთოდად პორტფოლიოს გამოყენება ჯერ არ ხორციელდება, თუმცა დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები და უნივერსიტეტი 2025 წლის ბოლომდე გეგმავს სრულად გადავიდეს პორტფოლიოს მეთოდის გამოყენებაზე.

შესაბამისად, მესამე რეკომენდაციის შესრულება პროცესშია.

უნივერსიტეტის 2024 წლის 9 სექტემბრის №10 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი, სადაც გაწერილია პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პირის ჩარიცხვისათვის შესაბამისი ენის კომპეტენციის დადგენის პროცედურები.

შესაბამისად, მეოთხე რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

მეხუთე რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა სწავლის შედეგების ანალიზის დოკუმენტი პროგრამების მიხედვით. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასების ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების მიერ ერთობლივად ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს აკადემიურმა პერსონალმა მკაფიოდ ვერ აღწერა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები და პროცესი. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალი აქტიურად ჩაერთოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის პროცესში.

შესაბამისად, მეხუთე რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის გადამზადების მიზნით ჩატარებული ორი 6-საათიანი ტრენინგის ანოტაცია;
- პერსონალის სერტიფიკატები;
- ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი;
- პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის დოკუმენტი;

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ, 2024 წ.;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია სტომატოლოგიის საბაზისო დისციპლინების სწავლების ეტაპზე პრაქტიკული უნარების შეფასების სისტემის დახვეწა და მათში ჩართული სპეციალისტების გადამზადება მეთოდოლოგიაში.**
- **რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პრაქტიკული უნარების შეფასების ისეთი სისტემა და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სტომატოლოგიურ კლინიკებში განხორციელებული პრაქტიკის დროს სტუდენტების შედეგების მიღწევადობას ყველა კლინიკასა და ყველა სტუდენტის შემთხვევაში.**
- **რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალი აქტიურად ჩაერთოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის პროცესში.**

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის ფარგლებში არ არსებობდა შესასრულებელი რეკომენდაცია.

ვიზიტის დროს, არსებითი გარემოებების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების

დასაქმების უზრუნველყოფის თვალსაზრისით დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევა, კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულებაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის არარსებობის ნაწილში. აღნიშნული პრობლემური გარემოება აღწერილ იქნა „2.1“ სტანდარტის ფარგლებშიც. შესაბამისად, რეკომენდაციების შინაარსობრივი დუბლირების გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე კომპონენტის ფარგლებში რეკომენდაცია არ გაიცემა, თუმცა კომპონენტი, ობიექტურად ფასდება სტანდარტთან „ნაწილობრივი შესაბამისობით“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ------
რეკომენდაციები: ------
რჩევები: ------
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად:** ○ დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა დაწესებულებაში მოქმედ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრული მაჩვენებლების შესაბამისად. უსდ-მ წარმოადგინა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობებიც როგორც საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიან და ქართულ ენაში მომზადების პროგრამებისთვის. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს მოწვეულისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობაც და დაწესებულია მოთხოვნაც, რომ პერსონალის არანაკლებ 40 % უნდა იყოს აფილირებული სასწავლო უნივერსიტეტთან. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, ირკვევა, რომ 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებთან სრულ შესაბამისობაშია (დანართი 33-34). **წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად:**

- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.

ინტერვიუს დროს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელმა ახსნა როგორ ახდენს პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლების დამუშავებას და ადგენს, პერსონალის დენადობის მაჩვენებელს. წარმოდგენილია დანართებში შესაბამისი მოხსენებითი ბარათებიც.

წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად:

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის დატვირთვის სემესტრულად განახლებადი სქემის ფორმირება ყოველ სემესტრულად, სადაც გათვალისწინებული/მითითებული იქნება პერსონალის დატვირთვა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

ინტერვიუს დროს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა დეტალურად ახსნა როგორ ახდენს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ რაოდენობრივი მაჩვენებლების განახლებას და QMS-ის ბაზაში ასახვას. პროცესი ხორციელდება ყოველსემესტრულად.

ინტერვიუს შედეგებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები, სტანდარტის ამ კომპონენტში შესრულდა.

თუმცა ადამიანური რესურსების ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუს დროს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს არაერთგვაროვანი და არაზუსტი პასუხები ჰქონდათ ბევრ რიგ ინსტიტუციურ, პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით. ხშირად, სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასმულ კითხვებს პერსონალი არაზუსტ ან შეუსაბამო პასუხებს სცემდა. ამ მიმართულებით, უსდ-მ უნდა დაგეგმოს და განახორციელოს რიგი აქტივობები, რომ ადმინისტრაციული, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი იცნობდეს ინსტიტუციურ რეგულაციებს, რა მოთხოვნები და მოლოდინები არსებობს მათ მიმართ, როგორ ფასდება მათი საქმიანობა, რა შესაძლებლობები აქვთ, ასევე, შედარებისთვის, უნდა ფლობდნენ ინფორმაციას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- **დანართი 33:** სტუდენტთა კონტიგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- **დანართი 34**: მოხსენებითი ბარათი კონტიგენტის შესახებ
- **დანართი 35**: მოხსენებითი ბარათები აკადემიური პერსონალის დენადობის შესახებ
- **დანართი 36:** მოხსენებითი ბარათები QMS -ის ბაზის განახლების შესახებ
- შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება

რეკომენდაციები:

„უსდ-მ უნდა დაგეგმოს და განახორციელოს რიგი აქტივობები, რომ ადმინისტრაციული, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი იცნობდეს ინსტიტუციურ რეგულაციებს, რა მოთხოვნები

და მოლოდინები არსებობს მათ მიმართ, როგორ ფასდება მათი საქმიანობა და რა შესაძლებლობები აქვთ მათ.“
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • რეკომენდირებულია სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად აირჩიონ სასწავლო კურსები და სწავლის საფასური გადაიხადონ კრედიტების შესაბამისად. • რეკომენდირებულია, უცხო ქვეყნის მოქალაქე ყველა სტატუსშეჩერებული სტუდენტის შესახებ ინფორმაცია გაეგზავნოს სერვისების განვითარების სააგენტოს. • რეკომენდრებულია აკადემიურ პერსონალს განესაზღვროს გონივრული ვადა მიმდინარე მოსწრების ქულების შესატანად ონლაინ პლატფორმაზე და უსდ-ს მიერ მოხდეს პროცესის მონიტორინგი. • რეკომენდირებულია უცხოენოვან პროგრამებზე მიღებისათვის საჭირო ინგლისურის და რუსული ენის ტესტების მოდიფიცირება იმდგვარად, რომ მოხდეს წერითი, მოსმენის და საუბრის კომპეტენციების შემოწმებაც. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის გააჩნია სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (www.thu.ge), სადაც სტუდენტებს შეუძლიათ შეამოწონ განვლილ საგნები, აღნიშნულ საგნებში მიღებული ქულები და ასევე მათი GPA. თუმცა ავტორიზაცის ჯგუფის ვიზიტის დროს, ექსპერტების მიერ გამოთქმულ იქნა რეკომენდაცია აღნიშნულ სასწავლო პორტლთან დაკავშირებით: **რეკომენდირებულია სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად აირჩიონ**

სასწავლო კურსები და სწავლის საფასური გადაიხადონ კრედიტების შესაბამისად. აღნიშნული რეკომენდაცია არ არის შესრულებული, რადგან ვიზიტის დროს სტუდენტებმა დააფიქსირეს რომ მათ საგნების არჩევა არ შეუძლიათ www.thu.ge – ზე, ასევე ინტერვიუს დროს ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული პორტალის გადამოწმება სტუდენტის დახმარებით, რა დროსაც ვერ მოხერხდა სტუდენტის ფინანსური ინფორმაციის შემოწმება აღნიშნულ პორტალზე.

თჰსუ-ში არსებობს სასწავლო პროცესების მართვის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია აწარმოოს აღრიცხვა სტუდენტთა სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის, ასევე აღნიშნული სტრუქტურული ერთეული ვალდებულია დროულად მიაწოდოს ინფორმაცია უცხო ქვეყნის სტუდენტებთან დაკავშირებით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. ასევე უნდა აღინიშნოს რომ უნივერსიტეტს გააჩნია აღნიშნული პროცედურების მარეგულირებელი წესდება. - "შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის. თუმცა ავტორიზაცის ექსპერტების მიერ გაცემილ იქნა რეკომენდაცია: **რეკომენდირებულია, უცხო ქვეყნის მოქალაქე ყველა სტატუსშეჩერებული სტუდენტის შესახებ ინფორმაცია გაეგზავნოს სერვისების განვითარების სააგენტოს.** აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია, რადგან დაწესებულებამ გამოითხვა და წარმოადგინა წერილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, სადაც ნათლად ჩანს რომ უნივერსიტეტი პერიოდულად აწვდის ინფორმაციას უცხო ქვეყნის მოქალაქე სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ.

მესამე რეკომენდაციის შესრულების მიზნით, **(რეკომენდრებულია აკადემიურ პერსონალს განესაზღვროს გონივრული ვადა მიმდინარე მოსწრების ქულების შესატანად ონლაინ პლატფორმაზე და უსდ-ს მიერ მოხდეს პროცესის მონიტორინგი.)** დაწესებულებამ წარმოადგინა „სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მექანიზმები", სადაც მკაფიოდ არის გაწერილი ლექტორის ვალდებულება რომ შუალედური/ფინალური გამოცდის ჩატარების შემდეგ 5 სამუშაო დღეში პორტალზე ასახოს შეფასებები, რასაც მკაცრ კონტროლს გაუწევს ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

შეასბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

მეოთხე რეკომენდაციის შესრულების მიზნით, **(რეკომენდირებულია უცხოენოვან პროგრამებზე მიღებისათვის საჭირო ინგლისურის და რუსული ენის ტესტების მოდიფიცირება იმდგვარად, რომ მოხდეს წერითი, მოსმენის და საუბრის კომპეტენციების შემოწმებაც)** უნივერსიტეტმა შეიმუშავა „ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი", რომლის მიხედვითაც მოხდება ინგლისური და რუსული ენის წერითი, მოსმენის და საუბრის კომპონენტის შემოწმება. ასევე დაწესებულებამ წამოადგინა ენის დონის განმსაზღვრელი ტესტების ნიმუშები.

შეასბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში;
- სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული წერილი (N 01/28817);
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მექანიზმები;
- ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი;
- ენის დონის განმსაზღვრელი ტესტები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.thu.edu.ge; thu.ge

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად აირჩიონ სასწავლო კურსები და სწავლის საფასური გადაიხადონ კრედიტების შესაბამისად.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2024 წლის ავტორიზაციის ანგარიშში 5.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემული არ იყო.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებს კონსულტაციებით, სტაჟირებებისა და დასაქმების შესაძლებლობებით. სამსახური აგრეთვე მუშაობას აგრძელებს კურსდამთავრებულებთანაც.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო მობილობასა და პროექტებში. ამისთვის უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას გაცვლითი პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ. თჰსუ-ს ევროპის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასთან გააფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის წევრებიც არჩეულ არიან არჩევნების წესით. აღსანიშნავია რომ სტუდენტური თვითმმართველობის წევრები უცხოელი სტუდენტებიც არიან.

დაწესებულებას აქვს გამჭვირვალე და ობიექტური მექანიზმები სოციალურად მოწყვლადი სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდასაჭერად და ინფორმაცია ამ მექანიზმების შესახებ არის საჯარო და ხელმისაწვდომი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახე, 2024 წ.;
- თჰსუ „სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურის დებულება“;

- თჰსუ "სტუდენტთური თვითმმართველობის დებულება";
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.thu.edu.ge;
- თჰსუ „წარმატებულ სტუდენტთა წახალისების, სოციალურად მოწყვლადი და სხვადასხვა ფინანსური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის წესი"
- განხორციელებული სტუდენტური აქტივობები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წინა მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფისგან თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა მიიღო შემდეგი რეკომენდაცია:

6.1. რეკომენდირებულია სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება და თვალსაჩინო ანგარიშის წარმოდგენა [*მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან].*

მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში, დაწესებულებამ წარმოადგინა **სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის 2023 წლის ანგარიში** (დანართი 42), **სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის 2024 წლის ანგარიში** (დანართი 47) და **აფილირებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი აქტივობის თვითშეფასების წლიური ანგარიში 2023-2024 წ.წ.** (დანართი 48). 2024 წლის ანგარიშში მოცემულია უნივერსიტეტის პერსონალის (აკადემიური/მოწვეული), სტუდენტების, ასევე ინსტიტუციურ დონეზე, განხორციელებული და 2025 წელს დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესახებ აღწერილობითი ინფორმაცია. დოკუმენტი არ მოიცავს ანალიზს და შეფასებით ნაწილს. დანართ 48-ში მოცემულია - აფილირებული, აკადემიური, მოწვეული

პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის თვითშეფასების წლიური ანგარიში 2023-2024 - მოცემულია რაოდენობრივი ინფორმაცია ფაკულტეტების მიხედვით:

- საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
- საქართველოში გამოცემული პუბლიკაციები (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, კრებულები, სტატიები)
- საერთაშორისო პუბლიკაციები (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, კრებულები, სტატიები)
- სამეცნიერო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობა საქართველოში
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობა
- კვალიფიკაციის ამაღლება (საქართველო/საზღვარგარეთ)
- საექსპერტო ან/სხვა საქმიანობა.

ამ დოკუმენტში (დანართი 48) მოცემული ინფორმაციის ვერიფიკაციის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია, რითაც შესაძლებელი გახდებოდა ამ დანართში მითითებული ინფორმაციის სიზუსტის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-სგან მიიღო დოკუმენტი - **თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების შედეგები (2023-2024 წლის საანგარიშო პერიოდი), მომზადებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.** 85-გვერდიანი დოკუმენტის შესწავლისას, გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში დოკუმენტში მითითებული ინფორმაცია არ ემთხვეოდა დანართ 48-ში მითითებულ რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არადა ორივე დოკუმენტი 2023-2024 წლის საანგარიშო პერიოდს ფარავს. მაგალითად, ანალიზის დოკუმენტის მიხედვით:

- **სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში:** საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (4); პუბლიკაციები საქართველოში - მონოგრაფიები (1); სახელმძღვანელოები (2); სტატიები (23); საერთაშორისო პუბლიკაციები - სტატიები (2); სამეცნიერო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობა საქართველოში - 12; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობა -11; კვალიფიკაციის ამაღლება/გადამზადება საქართველოში - 10; კვალიფიკაციის ამაღლება/გადამზადება უცხოეთში - 4; საექსპერტი ან სხვა საქმიანობა - 8.

განსხვავებული რაოდენობრივი მაჩვენებლებია მითითებული დანართ 48-ში, ზოგიერთ კომპონენტში.

- **ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის ფაკულტეტი:** საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (8); პუბლიკაციები საქართველოში - სახელმძღვანელოები (5); სტატიები (25); საერთაშორისო პუბლიკაციები -მონოგრაფიები (3); სტატიები (21); სამეცნიერო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობა საქართველოში - 24; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობა - 30; კვალიფიკაციის ამაღლება/გადამზადება საქართველოში - 31; კვალიფიკაციის ამაღლება/გადამზადება უცხოეთში - 10; საექსპერტი ან სხვა საქმიანობა - 18.

განსხვავებული რაოდენობრივი მაჩვენებლებია მითითებული დანართ 48-ში, ზოგიერთ კომპონენტში.

- **ჯანდაცვის ფაკულტეტი:** საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (2); პუბლიკაციები საქართველოში - სახელმძღვანელოები (2); სტატიები (6); საერთაშორისო პუბლიკაციები -მონოგრაფიები (3); სტატიები (37); სამეცნიერო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობა საქართველოში - 8; საერთაშორისო

სამეცნიერო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობა - 20; კვალიფიკაციის ამაღლება/გადამზადება საქართველოში - 36; კვალიფიკაციის ამაღლება/გადამზადება უცხოეთში - 17; საექსპერტი ან სხვა საქმიანობა - 3. *განსხვავებული რაოდენობრივი მაჩვენებლებია მითითებული დანართ 48-ში, ზოგიერთ კომპონენტში.* **მნიშვნელოვანია, რომ ამავე დოკუმენტში, ძირითად მიგნებებში გამოტანილი რაოდენობრივი მაჩვენებლები არ ემთხვევა თავად დოკუმენტში მოცემულ სახელობით მონაცემების ჯამურ მაჩვენებლებს.** ასევე, დასკვნით ნაწილში მოცემულია, რომ წინა წელთან შედარებით პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა გაზრდილია, თუმცა შესაბამისი ანალიზი დოკუმენტში მოცემული არ არის. უსდ, დოკუმენტის მიხედვით, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობას აფასებს როგორც - დამაკმაყოფილებელს, თუმცა რა შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდობით აკეთებს ამ დასკვნას, დოკუმენტიდან არ ჩანს. ამავე დოკუმენტში, ხარისხის უზრუნველყოფის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველიც არ ჩანს. კონკრეტულად, ვის მიემართება დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციები განსაზღვრული არ არის. დასკვნის სახით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უსდ-მ უფრო სიზუსტით უნდა უზრუნველყოს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი. ამ ეტაპზე წარმოებული ინფორმაცია არის ხშირად არათანმიმდევრული და არ იძლევა თანმიმდევრული შეფასების შესაძლებლობას. საბოლოოდ, წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია რჩება - 6.1. რეკომენდირებულია სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება და თვალსაჩინო ანგარიშის წარმოდგენა [*მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან].* ასევე, დამატებით, გაიცემა რეკომენდაცია: რეკომენდირებულია, უსდ-მ მოახდინოს პერსონალის (აკადემიური/მოწვეული) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის არამხოლოდ ნარატიული ფორმით წარმოდგენა, არამედ ანალიზი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • კვლევებისა და განვითარების ცენტრის მოდიფიცირებული დებულება; • სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის 2023-2024 წლის ანგარიშები; • კვლევის ეთიკის კოდექსი; • სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი; • სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2028; • აფილირებული/აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის თვითშეფასების წლიური ანგარიში 2023 - 2024 წწ.
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება და თვალსაჩინო ანგარიშის წარმოდგენა. ○ რეკომენდირებულია, უსდ-მ მოახდინოს პერსონალის (აკადემიური/მოწვეული) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის არამხოლოდ ნარატიული ფორმით წარმოდგენა, არამედ ანალიზი.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წინა მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფისგან თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა მიიღო შემდეგი რეკომენდაცია:

6.2. უნდა გაიზარდოს კონფერენციებსა და სამეცნიერო აქტივობებში ჩართული პერსონალის რიცხვი. აღნიშნული ეხება არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ მოწვეულ სპეციალისტებსაც [*მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*]

უსდ-მ წარმოადგინა სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2028). გეგმის მიხედვით, უსდ-ს მიზანია სამეცნიერო პოტენციალის ზრდა და ამ მიმართულებით ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სტუდენტების სამეცნიერო-საქმიანობით მოტივირება და სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა. სტრატეგიულ გეგმაში (2024-2028) იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეები ეხმიანება წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციას. კერძოდ, უსდ მიიჩნევს, რომ 2024-2028 წლებში, გასაუმჯობესებელია: სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული აკადემიური (მოწვეული) პერსონალის რაოდენობა. აქვე აღსანიშნავია, რომ უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025, უსდ-ს სუსტ მხარედ მიიჩნევს - სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას (გვ. 7, SWOT ანალიზი). შესაბამისად, უსდ-ს სტრატეგიული მიზანია - სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა და განვითარება (ამოცანა 2.4). ამ მიმართულებით ძირითადი ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულებია:

- 2.4.1. კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირება და მათი განვითარების შეფასება
- 2.4.2. შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის დანერგვა და განვითარება
- 2.4.3. საუნივერსიტეტო და რეგიონული სტუდენტური კონფერენციების მოწყობა
- 2.4.4. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას
- 2.4.5. უნივერსიტეტი მოიწვევს ცნობილ მეცნიერებს აქტუალურ საკითხებზე საჯარო ლექციების წასაკითხად და სამეცნიერო დისკუსიისთვის
- 2.4.6. უნივერსიტეტი განახლებად რეჟიმში მიაწოდებს ინფორმაციას აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს და სტუდენტებს სამეცნიერო ფონდების საგრანტო კონკურსების შესახებ

- 2.4.7. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში
- 2.4.8. უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის კვლევითი მუშაობის კომპეტენციების გაუმჯობესებაზე ტრენინგების, მასტერკლასების, ვორქშოპების ჩატარების გზით
- 2.4.9. ტრენინგები სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებთან მუშაობის შესახებ
- 2.4.10. ტრენინგები საერთაშორისო მაღალი იმპაქტფაქტორის ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების შესახებ

წარმოდგენილი 2023 და 2024 წლის ანგარიშები მოიცავს ინფორმაციას კონფერენციებისა თუ სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ, რომლებიც განკუთვნილი იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. ანგარიშებში მოცემულია ინფორმაცია, თუ რა ტიპის სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში (ტრენინგი, სემინარი, კონფერენცია და ა.შ.) მიიღო მონაწილეობა უსდ-ს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, კონკრეტული თემატიკისა და პერიოდის მითითებით. თუმცა, მიზანშეწონილი იქნებოდა, არა მხოლოდ ნარატიული ფორმით ამ ინფორმაციის წარმოდგენა, არამედ დამუშავება და ანალიზი, თუნდაც წინა წლების რაოდენობრივ მონაცემებთან შედარება, რაც თვალსაჩინოს გახდიდა მათი ჩართულობის დინამიკას.

დასკვნის სახით, წარმოდგენილ ანგარიშებში ჩანს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში, თუმცა რამდენად არის ეს ზრდის ტენდენცია, ანალიტიკური ნაწილი წარმოდგენილი არ არის. მიზანშეწონილი იქნებოდა ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი წინა წლებთან მიმართებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კვლევებისა და განვითარების ცენტრის მოდიფიცირებული დებულება;
- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის 2023-2024 წლის ანგარიშები;
- კვლევის ეთიკის კოდექსი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2028;
- აფილირებული/აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის თვითშეფასების წლიური ანგარიში 2023 - 2024 წწ.

რეკომენდაციები:

უნდა გაიზარდოს კონფერენციებსა და სამეცნიერო აქტივობებში ჩართული პერსონალის რიცხვი. აღნიშნული ეხება არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ მოწვეულ სპეციალისტებსაც

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წინა მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფისგან თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა მიიღო შემდეგი რეკომენდაცია: 6.3. უნივერსიტეტმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ან აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის ანალიზი და კომპონენტი შეფასდა - *მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.*

მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში, უსდ-მ ასევე ექსპერტა ჯგუფს მიაწოდა დოკუმენტი - **სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი.** წესის მიხედვით, უსდ აფასებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორებისა და კრიტერიუმების საფუძველზე. პირველ ეტაპზე, აკადემიური პერსონალი ამზადებს სამეცნიერო საქმიანობის შეფასების თვითშეფასების ანგარიშს და აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სადაც ხდება თვითშეფასებაში დოკუმენტირებული აქტივობების ქულობრივი შეფასება. წესში მოცემულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ზღვრული მაჩვენებლები. მაგალითად, წესის მიხედვით, ა. პროფესორის წლიური ზღვრული შეფასება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 80 ქულას; ბ. ასოცირებული პროფესორის წლიური ზღვრული შეფასება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 70 ქულას; გ. ასისტენტ პროფესორის წლიური ზღვრული შეფასება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 60 ქულას; დ. ასისტენტის წლიური ზღვრული შეფასება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 ქულას. უსდ-მ ნიმუშად წარმოადგინა პერსონალის მიერ შევსებული თვითშეფასება და კომისიის მიერ მინიჭებული შეფასება. მიზანშეწონილი იქნებოდა წესშივე გაიწეროს, რა ზოგადი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს კომისია კონკრეტული ქულის მინიჭებისას.

ინტერვიუს დროს, აკადემიურმა პერსონალმა ვერ უპასუხა, კონკრეტულად რა მინიმალური მოთხოვნები არსებობდა მათ, როგორც აკადემიური პერსონალის მიმართ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, როგორი იყო შემდგომი პროცედურა. მიზანშეწონილია, აკადემიური პერსონალი იცნობდეს ინსტიტუციაში მოქმედ წესებს და რეგულაციებს.

წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია რჩება ისევ რელევანტურად - უნივერსიტეტმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ან აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის ანალიზი - რადგან წარმოდგენილი არ არის ანალიზის დოკუმენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კვლევებისა და განვითარების ცენტრის მოდიფიცირებული დებულება;
- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის 2023-2024 წლის ანგარიშები;
- კვლევის ეთიკის კოდექსი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი;
- სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2028;

• აფილირებული/აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის თვითშეფასების წლიური ანგარიში 2023 - 2024 წწ.
რეკომენდაციები: უნივერსიტეტმა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ან აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის ანალიზი
რჩევები: -----
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **რეკომენდაციები:** „რეკომენდირებულია სტომატოლოგიის პროგრამებისათვის პრაქტიკის ობიექტების, ასევე კლინიკური პრაქტიკის საუნივერსიტეტო სივრცის გაუმჯობესება თანამედროვე და საკმარისი რაოდენობის აღჭურვილობით და სახარჯი მასალებით, სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად;“ „რეკომენდირებულია ხელშეკრულებების/მემორანდუმების განახლება კლინიკებთან, სადაც მიმდინარეობს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება.“ კლინიკური პრაქტიკის საუნივერსიტეტო სივრცე აღჭურვილია და ფუნქციონირებს სტანდარტის შესაბამისად. განხორციელდა დამატებითი აღჭურვილობის შეძენა და განთავსება პრაქტიკის სივრცეში. კერძოდ, არსებულ რესურსს დაემატა 2 ახალი სტომატოლოგიური სავარძელი, შეივსო უნივერსიტეტის ლაბორატორიები და კლინიკა შესაბამისი აღჭურვილობით და სახარჯი

მასალებით. კლინიკაში ასევე მოხდა ვიდეოდაკვირვების კამერების მონტაჟი, რაც მონიტორინგის საშუალებას იძლევა. განხორციელებულია კლინიკებთან დამატებითი ხელშეკრულებების გაფორმება და მოქმედი ხელშეკრულებების განახლება. უნივერსიტეტს მოქმედი ხელშეკრულება აქვს 19 კლინიკასთან, საიდანაც 10 ხელშეკრულება დაიდო/განახლდა 2024 წელს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • 2022-2024 წწ განხორციელებული სახარჯი მასალის და აღჭურვილობის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები; • პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
რეკომენდაციები: -----
რჩევები: -----
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის ფარგლებში არ არსებობდა შესასრულებელი რეკომენდაცია. ვიზიტის დროს, არსებითი გარემოებების შემოწმების შედეგად, არ წარმოიშვა ახალი რეკომენდაციის შემუშავების საჭიროება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ----
რეკომენდაციები: -----
რჩევები: ------

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის ფარგლებში არ არსებობდა შესასრულებელი რეკომენდაცია.

ვიზიტის დროს, არსებითი გარემოებების შემოწმების შედეგად, არ წარმოიშვა ახალი რეკომენდაციის შემუშავების საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდაცია: „რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ფინანსური აუდიტი და წარმოადგინოს დასკვნები შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებებით.“ უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილ იქნა 2020, 2021, 2022 და 2023 წლების აუდიტის ანგარიშები
მტკიცებულებები/ინდიკატორები: წარმოდგენილია 2020 - 2023 წლების აუდიტორული დასკვნები.
რეკომენდაციები: -----
რჩევები: -----
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	სამართალი	ქართული	სამართლის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	07/12/2018 №200
2	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	08/06/2022 MES 3 22 0000613905
3	ფსიქოლოგია	ქართული	ფსიქოლოგიის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	25/08/2016 #119
4	სტომატოლოგია	ქართული	დიპლომირებული სტომატოლოგი	300	აკრედიტებული	07/12/2018 #201
5	სტომატოლოგია (რუსულენოვანი)	რუსული	დიპლომირებული	300	აკრედიტებული	26/11/2013

			სტომატოლოგი			#188
6	სტომატოლოგია (ინგლისურენოვანი)	ინგლისური	დიპლომირებული სტომატოლოგი	300	აკრედიტებული	02/12/2019 #43
7	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული		60	აკრედიტებული	30/12/2022 #1684661